

შესყიდვა


შესყიდვებში რეგისტრირდება საქონლის, მომსახურების ან სხვა აქტივების შესყიდვის ოპერაციები.

შესყიდვის შექმნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

- დოკუმენტის შექმნა ხელით
- ფაილიდან ჩატვირთვით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#))
- სასაქონლო ზედნადებიდან შევსება ([როგორ ჩამოვტვირთო შესყიდვა სასაქონლო ზედნადებიდან](#))
- ანგარიშ-ფაქტურიდან შევსება ([როგორ ჩამოვტვირთო შესყიდვა მიღებულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურიდან](#))

შესყიდვის შექმნა


- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვების ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვა“
- დააჭირეთ „შექმნა“ ლილავს
- აირჩიეთ ოპერაციის ტიპი ოპერაციის შინაარსის მიხედვით



- აირჩიეთ მომწოდებელი
- აირჩიეთ ანგარიშსწორების ვალუტა. მომწოდებლის არჩევის შემდეგ ველი ავტომატურად ივსება მომწოდებლის ბარათზე მითითებული „ვალუტის“ მნიშვნელობის შესაბამისად. ასევე ავტომატურად ივსება ველი „ვალუტის კურსი“ არჩეული ვალუტისა და დოკუმენტის თარიღის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია როგორც ვალუტის, ისე მისი კურსის ცვლილება.

ანგარიშსწორების ანგარიშები

მომწოდებლის არჩევისას ივსება ანგარიშსწორების და დღგ-ის ანგარიშები მომწოდებლის ბარათზე მითითებული მნიშვნელობების მიხედვით ([როგორ ავაწყო მომწოდებლის აღრიცხვის ანგარიშები](#)).



გადასახადები

შესყიდვის ოპერაციასთან დაკავშირებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის დათვალიერება და ცვლილება შესაძლებელია „გადასახადების“ ლინკზე დაჭერით. ლინკის დასახელება ავტომატურად ფორმირდება გადასახადების პარამეტრების მიხედვით. აღნიშნული ველები ავტომატურად ივსება არჩეული მომწოდებლის და ოპერაციის ტიპის მიხედვით.

ცხრილის შევსება

იმისდა მიხედვით თუ რა არის შესყიდვის ობიექტი (საქონელი, მომსახურება თუ რაიმე სხვა აქტივი) უნდა შეივსოს „ნომენკლატურის“ ან „სხვა აქტივების და მომსახურების“ ჩანართი.

„ნომენკლატურის“ ჩანართი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ხდება საქონლის ან ისეთი მომსახურების შესყიდვა, რომლის შესყიდვაც რეგულარულია და ხარჯისა და დღგ-ის ანგარიშები წინასწარგანსაზღვრულია. „სხვა აქტივების და მომსახურების“ ჩანართი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ხდება სხვადასხვა ტიპის ხარჯის ან გრძელვადიანი აქტივის შესყიდვა.

ნომენკლატურის ჩანართის შევსება

ველი	აღწერა
ნომენკლატურა	შესყიდვის ობიექტი (საქონელი ან მომსახურება) აირჩევა ნომენკლატურის ცნობარდან.
რაოდენობა	შესყიდული რაოდენობა
ფასი	ფასი, ავტომატურად შეივსება, თუ ჩართულია ფუნქციონალური ოფცია „ფასის ტიპების გამოყენება შესყიდვებში“, და დოკუმენტში მითითებულ ფასის ტიპის მიხედვით დადგენილია ფასი
დღგ-ის განაკვეთი	ავტომატურად ივსება ნომენკლატურის ბარათზე განსაზღვრული მნიშვნელობით: „ჩვეულებრივი“, „ნულოვანი“ ან „არ იბეგრება“.
თანხა	გაიანგარიშება ფასისა და რაოდენობის ნამრავლით
თანხა დღგ-ის ჩათვლით	სრული თანხა დღგ-ის ჩათვლით თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს იგივეა რაც თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიემატება დღგ.

სხვა აქტივების და მომსახურების ჩანართის შევსება

„სხვა აქტივების და მომსახურების“ ჩანართი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხდება სხვადასხვა ტიპის მომსახურებისა ან გრძელვადიანი აქტივის შესყიდვა

სხვა აქტივების და მომსახურების ჩანართის შევსება:

ველი	აღწერა
შინაარსი	ტექსტური ველი, სადაც ივსება შესყიდული მომსახურების ან აქტივის შინაარსს.
თანხა	თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს უნდა მოხდეს დღგ-ის ჩათვლით თანხის მითითება, ხოლო თუ ალამი გამორთულია დღგ-ის გარეშე თანხა.
დღგ-ის განაკვეთი	„ჩვეულებრივი“, „ნულოვანი“ ან „არ იბეგრება“ მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი.
დღგ-ის თანხა	გაიანგარიშება თანხისა და დღგ-ის განაკვეთის მიხედვით. გაანგარიშების წესი დამოკიდებულია ალამზე „ფასი შეიცავს დღგ“-ს.
თანხა დღგ-ის ჩათვლით	სრული თანხა დღგ-ის ჩათვლით თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს იგივეა რაც თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიემატება დღგ.
აღრიცხვის ანგარიში	ანგარიში, სადაც აისახება შესყიდული აქტივის ან მომსახურების ხარჯის ღირებულება.

„გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკზე დაჭერით ხდება ოპერაციის დაფიქსირება და შესაბამისი ბუღალტრული გატარების ასახვა.


დოკუმენტის ბუღალტრული გატარებების დათვალიერება შესაძლებელია „Dr/Cr“ ღილაკზე დაჭერით.

როგორ შევავსო ფასები შესყიდვაში

იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ფასების შევსების ფუნქციონალი საჭიროა „ფასის ტიპების გამოყენება შესყიდვებში“ ფუნქციონალური ოფციის ჩართვა (ადმინისტრირება > აღრიცხვის აწყობები > შესყიდვები).

ნოუტი: „ფასის ტიპების გამოყენება შესყიდვებში“ ფუნქციონალის გამოყენებისთვის საჭიროა ჩართული იყოს ალამი „ფასის რამდენიმე ტიპის გამოყენება (ადმინისტრირება > აღრიცხვის აწყობები > გაყიდვები).“

ფუნქციონალური ოფციის ჩართვის შემდეგ შესყიდვების დოკუმენტში „ფასის ტიპები და გადასახადები“ ლინკზე დაჭერით მომხმარებელი შეძლებს მიუთითოს ფასის ტიპი.



„ნომენკლატურის“ ცხრილში ნომენკლატურის არჩევისას ველი „ფასი“ შეივება აღნიშნულ ნომენკლატურაზე დადგენილი ფასის მიხედვით ([როგორ დავადგინო ნომენკლატურაზე ფასი?](#)).

- შესყიდვა
- შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ
- მომსახურების შესყიდვა არარეზიდენტისგან
- მომსახურების შესყიდვა ფიზიკური პირისგან
- იმპორტით შესყიდვა
- დამატებითი ხარჯების შესყიდვა
- ძირითადი საშუალების შესყიდვა
- შესყიდვის შევსება სასაქონლო ზედნადების მიხედვით
- შესყიდვის შევსება ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით
- როგორ დავაფიქსირო შესყიდვა ავანსით
- როგორ დავაფიქსირო მომწოდებლის ფასდაკლება
- როგორ შევავსო ფასები შესყიდვაში
- როგორ გავზარდო ძირითადი საშუალების ღირებულება მომსახურების (ხარჯის) შესყიდვისას

მომსახურების შესყიდვა არარეზიდენტისგან

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს ([როგორ გავაფორმო შესყიდვა](#))
- სასურველი ოპერაციის ტიპის მიხედვით აირჩიეთ შესაბამისად ან [„შესყიდვა მომწოდებლისგან“](#) ან [„შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ“](#).
- აირჩიეთ მომწოდებელი
- დააჭირეთ გადასახადების ლინკს:

შესყიდვა (შექმნა) *

გატარება და დახურვა ჩანურა გატარება ! Mr. მ საფუძველზე შექმნა ბუქვდა კიდევ

10.09.2018 0:00:00 ახალი ოპერაციის ტიპი: შესყიდვა მომწოდებლისგან

მომწოდებელი: John Smith 3110.01, 1480... უზადაბურის დღე

ვალუტა: USD 2.5783

ნომენკლატურა სხვა აქტივები და მომსახურება ავანსები დამატებით

დამატება შევსება

გადასახადები

ფასი შეიცავს დღე-ს

დღე-ით დაბეგვრა: უზადაბურის დღე

სამ გად-ის გათვალისწინება

OK

- ველში „დღ-ის დაბეგრა“ აირჩიეთ მნიშვნელობა „უკუდაბეგრის დღ“*
- იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა შესყიდვის დაბეგრა საშემოსავლო გადასახადით*, შემონიშნეთ საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინება.

ნოუტი: გადასახადების ველები ავტომატურად ივსება მომწოდებლის ბარათზე ხელშეკრულების პირობებში მითითებული მნიშვნელობების მიხედვით (როგორ ავსებს მომწოდებლის ბარათი).

დღ-ით უკუდაბეგრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება (სსკ-ის 176-ე 1(ა))

საშემოსავლო

Note: საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადახდა ევალუბა საგადასახადო აგენტს, რომელიც საქართველოში გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს არარეზიდენტ პირს, აგრეთვე ფიზიკურ პირს, გარდა დღ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ოქსიდირებული ჩაბრუნების ჩაბრუნების სტატუსის მქონე ოქსიდირებული პირისა.

The screenshot displays a software interface for tax calculation. At the top, there are input fields for a document number (0000000017), a date and time (10.09.2018 17:47:27), and a company name (არ არის გატ...). Below this, there are fields for the provider's name (John Smith) and a tax ID (3110.01.1480...). The main part of the interface is a table with columns for 'N', 'მინარსი', 'თანხა', 'სამ. გად-ის განაკვ...', 'საშემოსავლო გად...', 'თანხა სამ. გად-ის ჩ...', 'დღ-ის გან...', 'დღბ', 'თანხა დღბ...', 'აღრიცხვის ...', and 'ანალ'. A row is visible with the following values: 1, საკონსულტაციო მომსახუ..., 1 000.00, 10% (არარეზიდენ..., 111.11, 1 111.11, ჩვეულებრი..., 200.00, 1 311.11, 7480.06. A pop-up window titled 'ანგარიშსწორებები (IC:საწარმო)' is open, showing several input fields for adjustments: 'მომწოდებლის ანგარიში' (3110.01), 'ავანსის ანგარიში' (1480), 'უკუდაბეგრის დღ-ის ანგარიში' (3335), 'დღ-ის ანგარიში' (3344), and 'გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ანგარიში' (3320). There is also a checked checkbox for 'სამ. გად. ჩამოიწეროს მომსახურების ხარჯზე'. The bottom of the interface shows a status bar with 'ფილიალი: Main Office' and 'პირველადი დოკუმენტი:'.

- შეავსეთ ცხრილში შესყიდული მომსახურების (ან მომსახურებების) შესახებ ინფორმაცია, „ნომენკლატურა“ ან „სხვა აქტივები და მომსახურება“ ჩანართზე, იმის მიხედვით მომსახურება დამატებული გაქვთ თუ არა ნომენკლატურის ცნობარში.
- მომსახურების ღირებულებაში (ველი „თანხა“) მიუთითეთ აღნიშნულ მომსახურებაზე მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა ყველა გადასახადის გამოკლებით.
- იმ შემთხვევაში, თუ შესყიდული მომსახურება იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, აირჩიეთ შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (მომწოდებლის ბარათზე შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ველი ივსება ავტომატურად [\(როგორ ავაწყო მომწოდებლის ბარათი\)](#)).
- დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

მაგალითი:

არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების თანხაა 1000 USD.

თანხა = 1000 USD

თანხა საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით = $1000,00 / (100\% - 10\%) = 1111,11$ USD

საშემოსავლო გადასახადი = $1111,11 * 10\% = 111,11$ USD

უკუდაბეგვრის დღგ = $1111,11 * 18\% = 200$ USD

ვალუტის კურსი: 2.44010

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტთან ვალდებულების ანგარიშზე ასახვა დამოკიდებულია საშემოსავლო გადასახადის ასახვის წესზე. [\(როგორ ავაწყოთ საშემოსავლო გადასახადის ასახვის წესი\)](#).

თუ საშემოსავლო გადასახადი გამოიყოფა შესყიდვისას (საშემოსავლო გადასახადის ასახვის ტიპში მითითებულია „დარიცხვისას“ ან „დარიცხვისას და გადახდისას“) საშემოსავლოს გადასახადის ხარჯის ასახვა შესაძლებელია როგორც შექმნილი მომსახურების ხარჯის ანგარიშზე, ისე ცალკე ანგარიშზე. ამისათვის ანგარიშსწორებების ფორმაზე არსებობს ალამი „საშ. გად. ჩამოიწეროს მომსახურების ხარჯზე“. თუ ალამი ჩართული არ არის, მაშინ ამავე ფანჯარაში უნდა მიეთითოს ხარჯის ანგარიში, რომელზეც აისახება საშემოსავლო გადასახადი.

ბუღალტრული გატარებები

შესყიდვის დოკუმენტი გატარების შემდეგ აფორმირებს შემდეგ ბუღალტრული გატარებებს.

1. საშემოსავლო გადასახადი აისახება დარიცხვისას (დარიცხვისას და გადახდისას)

დბ	კრ	ვალუტა კრ	ვალუტის თანხა კრ	თანხა	შინაარსი
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში	31xx - მომწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიში	USD	1 000	2 440.10	მომსახურების შესყიდვა
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში / საშემოსავლოს ხარჯის ანგარიში *	33xx საშემოსავლო გადასახადის ანგარიში			271.12	საშემოსავლოს ხარჯად აღიარება
33xx არარეზიდენტის ჩასათვლელი დღგ	33xx უკუდაბეგვრაზე დარიცხული დღგ			488.02	უკუდაბეგვრის დღგ


* - საშემოსავლოს ხარჯად აღიარების ანგარიში დამოკიდებულია ალამზე „საშემოსავლო გადასახადი ჩამოიწეროს მომსახურების ხარჯზე“

2. საშემოსავლო გადასახადი აისახება გადახდისას

დბ	კრ	ვალუტა კრ	ვალუტის თანხა კრ	თანხა	შინაარსი
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში	31xx - მომწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიში	USD	1 111,11	2 711,22	მომსახურების შესყიდვა
33xx არარეზიდენტის ჩასათვლელი დღგ	33xx უკუდაბეგვრაზე დარიცხული დღგ			488.02	უკუდაბეგვრის დღგ

მომსახურების შესყიდვა ფიზიკური პირისგან

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ლილავს ([როგორ გავაფორმო შესყიდვა](#))
- სასურველი ოპერაციის ტიპის მიხედვით აირჩიეთ შესაბამისად ან [„შესყიდვა მომწოდებლისგან“](#) ან [„შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ“](#).
- აირჩიეთ მომწოდებელი
- დააჭირეთ გადასახადების ლინკს:



- იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელია, ველში „დღგ-ის დაბეგვრა“ აირჩიეთ მნიშვნელობა „იბეგრება დღ-ით“, წინააღმდეგ შემთხვევაში აირჩიეთ მნიშვნელობა „არ იბეგრება დღ-ით“.
- იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა შესყიდვის დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით*, შემონიშნეთ საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინება.

ნოუტი: გადასახადების ველები ავტომატურად ივსება მომწოდებლის ბარათზე ხელშეკრულების პირობებში მითითებული მნიშვნელობების მიხედვით (როგორ ავაწყო მომწოდებლის ბარათი).

შესყიდვა (შექმნა) *

გატარება და დახურვა ჩაწერა გატარება საფუძველზე შექმნა ბეჭდვა

21.11.2018 0:00:00 ასალი მთავარი საწყობი

მომწოდებელი: ლუვან გაბრიჭიძე 3110.02.1480... ოპერაციის ტიპი: შესყიდვა მომწოდებლისგან

ვალუტა: GEL 1.0000 არ იბეგრება დღე-ით

ნომენკლატურა სხვა აქტივები და მომსახურება ავანსები დამატებით

დამატება შევსება

N	შინაარი	თანხა	საშ. გად.-ის განაკვეთი	საშემოსავლო გადასახადი	თანხა საშ. გად.-ის ჩათვ
<div data-bbox="412 554 1062 840" data-label="Form"> <p>ანგარიშსწორებები (IC:საწარმო)</p> <p>ანგარიშსწორებები</p> <p>მომწოდებლის ანგარიში: 3110.02</p> <p>ავანსის ანგარიში: 1480</p> <p>გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ანგარიში: 3320</p> <p>საშ. გად. ჩამოიწეროს მომსახურების ბარეზე: <input checked="" type="checkbox"/></p> <p>OK გაუქმება</p> </div>					

სასაქონლო ზედნაღების მიღება ანგარიშ-დაქვრის მიღება შექმნა (არა ელექტრონული) დღე: 0.00 თანხა (USD): 0.00

User პირველი დოკუმენტი:

- შეავსეთ ცხრილში შესყიდული მომსახურების (ან მომსახურებების) შესახებ ინფორმაცია, „ნომენკლატურა“ ან „სხვა აქტივები და მომსახურება“ ჩანართზე, იმის მიხედვით მომსახურება დამატებული გაქვთ თუ არა ნომენკლატურის ცნობარში.
- მომსახურების ღირებულებაში (ველი „თანხა“) მიუთითეთ აღნიშნულ მომსახურებაზე მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხა ყველა გადასახადის გამოკლებით.
- იმ შემთხვევაში, თუ შესყიდული მომსახურება იბეგრება საშემოსავლო გადასახადით, აირჩიეთ შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (მომწოდებლის ბარათზე შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ველი ივსება ავტომატურად [\(როგორ ავაწყლო მომწოდებლის ბარათი\)](#)).

Note: საშემოსავლო გადასახადის დაკავება და გადახდა ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც საქართველოში გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს არარეზიდენტ პირს, აგრეთვე ფიზიკურ პირს, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა.

- დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

მაგალითი:

არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების თანხაა 1000 GEL.

თანხა = 1000 GEL

თანხა საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით = $1000,00 / (100\% - 10\%) = 1111,11$ GEL

საშემოსავლო გადასახადი = $1111,11 * 10\% = 111,11$ GEL

უკუდაბეგვრის დღგ = $1111,11 * 18\% = 200$ GEL

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის ბიუჯეტთან ვალდებულების ანგარიშზე ასახვა დამოკიდებულია საშემოსავლო გადასახადის ასახვის წესზე. ([როგორ ავაწყოთ საშემოსავლო გადასახადის ასახვის წესი](#)).

თუ საშემოსავლო გადასახადი გამოიყოფა შესყიდვისას (საშემოსავლო გადასახადის ასახვის ტიპში მითითებულია „დარიცხვისას“ ან „დარიცხვისას და გადახდისას“) საშემოსავლოს გადასახადის ხარჯის ასახვა შესაძლებელია როგორც შეძენილი მომსახურების ხარჯის ანგარიშზე, ისე ცალკე ანგარიშზე. ამისათვის ანგარიშსწორებების ფორმაზე არსებობს ალამი „საშ. გად. ჩამოიწეროს მომსახურების ხარჯზე“. თუ ალამი ჩართული არ არის, მაშინ ამავე ფანჯარაში უნდა მიეთითოს ხარჯის ანგარიში, რომელზეც აისახება საშემოსავლო გადასახადი.

ბუღალტრული გატარებები

თუ ფიზიკური პირი დღგ-ის გადამხდელია შესყიდვის დოკუმენტის გატარებისას ფორმირდება შესყიდვის სტანდარტული ბუღალტრული გატარებები. იმ შემთხვევაში თუ ფიზიკური პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი და შესყიდვა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით ბუღალტრული გატარებების სტრუქტურა დამოკიდებულია საშემოსავლო გადასახადის ასახვის ტიპზე.

3. საშემოსავლო გადასახადი აისახება დარიცხვისას (დარიცხვისას და გადახდისას)

დბ	კრ	თანხა	შინაარსი
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში	31xx - მომწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიში	2 440.10	მომსახურების შესყიდვა
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში / საშემოსავლოს ხარჯის ანგარიში *	33xx საშემოსავლო გადასახადის ანგარიში	271.12	საშემოსავლოს ხარჯად აღიარება

* - საშემოსავლოს ხარჯად აღიარების ანგარიში დამოკიდებულია ალამზე „საშემოსავლო გადასახადი ჩამოიწეროს მომსახურების ხარჯზე“

4. საშემოსავლო გადასახადი აისახება გადახდისას

დბ	კრ	თანხა	შინაარსი
7xxx - მომსახურების ხარჯის ანგარიში	31xx - მომწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიში	2 711,22	მომსახურების შესყიდვა

შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ

ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვის ოპერაცია გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მომწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს უშუალოდ ანგარიშვალდებული პირი, საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის საშუალებით.

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ქვესისტემა
- შესყიდვის ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „შესყიდვები“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- „შექმნა“ ღილაკზე დაჭერით გამოსულ სიაზე აირჩიეთ „შესყიდვა ანგარიშვალდებული პირის მიერ“
- ანგარიშვალდებული პირის ველში, შერჩევა ღილაკზე დაჭერით აირჩიეთ სასურველი თანამშრომელი ან დაამატეთ ახალი.
- თანამშრომელთან ანგარიშსწორების ანგარიში ავტომატურად ივსება პროგრამის ძირითადი ანგარიშებიდან, თუმცა ანგარიშის ლიკზე დაჭერით შესაძლებელია თანამშრომელთან ანგარიშსწორების ანგარიშის გადარჩევა.
- აირჩიეთ მომწოდებელი და მომწოდებელთან ანგარიშსწორების ვალუტა
- შეავსეთ ცხრილში შესყიდული საქონლის ან მომსახურების შესახებ ინფორმაცია შესაბამის ჩანართზე („ნომენკლატურა“, „სხვა აქტივები და მომსახურება“)
- დააჭირეთ ღილაკს „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“.

შესყიდვა (შექმნა) *

გატარება და დახურვა ჩაწერა გატარება საფუძველზე შექმნა ბეჭდვა

21.11.2018 0:00:00 სახელი: მთავარი საწვობი

მომწოდებელი: GWP 3110.01.1480... ოპერაციის ტიპი: შესყიდვა ანგარიშვალდებულებული პირის მიერ

ვალუტა: GEL 1.0000 ანგარიშვალდებულებული პირი: მიტბერიძე გიორგი 1430

ინვერტა დღე-ით

ნომენკლატურა (1) სხვა აქტივები და მომსახურება დამატებით

დამატება შერჩევა

N	არტიკული	ნომენკლატურა	ერთ.	რაოდენობა	ფასი	თანხა	დღე-ის განაკ...
1		მაუსი - Asus WT465 Black	ცალი	1.0000	58.0000	58.00	ჩვეულებრივი

სასაქონლო ზედნადების მიღება ანგარიშ-ფაქტურის მიღება შექმნა (ან ელექტრონული) დღე: 8.85 ჯამი: 58.00

User პირველადი დოკუმენტი:

ბუღალტრული გატარებები

დბ	ანალიტიკა დბ	კრ	ანალიტიკა კრ	შინაარსი	თანხა
7410 - ხარჯის ანგარიში		3110.01	მომწოდებელი	შესყიდულია საკანცელარიო მასალები	580.00
31xx - მომწოდებელთან ანგარიშსწორების ანგარიში	მომწოდებელი	1430 - ანგარიშვალდებულთა ან ანგარიშსწორების ანგარიში	ანგარიშვალდებულთა	დაიფარა ვალდებულება მომწოდებლის მიმართ	580.00

შესყიდვის შევსება სასაქონლო ზედნადების მიხედვით

მიღებული სასაქონლო ზედნადების მიხედვით შესაძლებელია საქონლის, ხარჯებისა (სამეურნეო, სახარჯი და სხვა მარაგები) და ძირითადი საშუალებების შესყიდვის ოპერაციის შექმნა.

ბიჯი1: მიღებული ზედნადების ცხრილის შევსება

- ძირითად მენიუში აირჩიეთ შესყიდვების ან RS ქვესისტემა
- აირჩიეთ მენიუს პუნქტი „მიღებული სასაქონლო ზედნადებები“
- აირჩიეთ პერიოდი, რომელსაც განეკუთვნება საჭირო სასაქონლო ზედნადებ(ებ)ი.

- სურვილისამებრ მიუთითეთ ფილტრი მომწოდებლით, ს/ზ-ის ნომრით, სატრანსპორტო ავტომობილის ნომრით ან მიწოდების მისამართით
- სურვილისამებრ მიუთითეთ ფილტრი სასაქონლო ზედნადებზე შესყიდვის დოკუმენტის დაკავშირების მიხედვით (არ არის შერჩევა, მხოლოდ მიბმული, მხოლოდ მიუბმელი)
- დააჭირეთ „განახლება“ ღილაკს და მითითებული ფილტრების მიხედვით შეივსება სასაქონლო ზედნადებების ცხრილი

← → ☆ მიღებული სასაქონლო ზედნადებები

ზედნადებები დოკუმენტები

განახლება

პერიოდი: 20.06.2018 25.06.2018 მომწოდებელი:

ს/ზ-ის ნომერი: ავტომობილის ნომერი:

მიწოდების მისამართი:

დოკუმენტთან ს/ზ-ის მიხმის მიხედვით შერჩევა:

არ არის შერჩევა მხოლოდ მიბმული მხოლოდ მიუბმელი

N	ს/ზ-ის ნომერი	მიხმის დოკუმენტი	მომწოდებლის დასახ...	მომწოდებლის ს...	აქტივაციის თარიღი	ტრანსპორტირების დაწყების თარიღი	
<input type="checkbox"/>	26	0384757802		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	20.06.2018 15:53:15	20.06.2018 15:53:00
<input type="checkbox"/>	27	0384758723		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	20.06.2018 15:57:22	20.06.2018 15:57:00
<input type="checkbox"/>	28	0384766729		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	20.06.2018 16:26:46	20.06.2018 16:26:00
<input type="checkbox"/>	29	0384788355		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	20.06.2018 17:31:53	20.06.2018 17:31:53
<input type="checkbox"/>	30	0384811044		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	20.06.2018 18:52:22	20.06.2018 18:52:22
<input type="checkbox"/>	31	0384891606		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	21.06.2018 9:40:30	21.06.2018 9:40:30
<input type="checkbox"/>	32	0384963633		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	21.06.2018 12:45:45	21.06.2018 12:45:45
<input type="checkbox"/>	33	0385002538	შესყიდვა 13 - 21.06.2018	სატესტოკ სატესტოკ	12345678910	21.06.2018 15:12:26	21.06.2018 15:12:26
<input type="checkbox"/>	34	0385003368		სატესტოკ სატესტოკ	12345678910	21.06.2018 15:15:55	21.06.2018 15:15:55
<input type="checkbox"/>	35	0385236001	შესყიდვა 8 - 22.06.2018	სატესტოკ სატესტოკ	12345678910	22.06.2018 13:56:24	22.06.2018 13:56:24
<input type="checkbox"/>	36	0385251695	შესყიდვა 9 - 22.06.2018	სატესტოკ სატესტოკ	12345678910	22.06.2018 14:56:37	22.06.2018 14:56:37

შეესება

N	შტრიხკოდი	ტიპი	საქონლის დასახელება	ნომენკლატურა / მ/ს	მ/ს-ის კატეგორია	შესყიდვის ერთეული	ზომის ერთ...	რაოდ...
1	5001	საქონელი	ღვინო		არ გამოიყენება მითით...	ცალი	ცალი	

ცხრილი შეივსება სასაქონლო ზედნადების ყველა ძირითადი მონაცემით, რომელიც აქვს პორტალზე.

ზედნადებების ცხრილში თითოეული სტრიქონის ფერი ასახავს მის სტატუსს, მიბმულია თუ არა პროგრამაში შესაბამის დოკუმენტთან:

შავი	სასაქონლო ზედნადები არ არის მიბმული შესყიდვის დოკუმენტზე
ნაცრისფერი	სასაქონლო ზედნადები მიბმულია დოკუმენტზე, მაგრამ დოკუმენტი არ არის გატარებული (ჩაწერილია დრაფტის სახით)
მწვანე	სასაქონლო ზედნადები მიბმულია გატარებულ შესყიდვის დოკუმენტზე

ბიჯი 2: საქონლის ცხრილის შევსება

საქონლის ცხრილში აისახება ზედნადებების ცხრილში აქტიური სტრიქონის შესაბამისი ინფორმაცია. შესაბამისად საჭირო ზედნადების სტრიქონის მონიშვნით ხდება საქონლის ცხრილის გადავსება მონიშნული ზედნადების მიხედვით.

რა ტიპის აქტივის შესყიდვის დაფიქსირება უნდა მოხდეს განსაზღვრავს სვეტი „ტიპი“. შესაძლებელია სამი ტიპის აქტივის შესყიდვის დაფიქსირება:

საქონელი	მიეთითება ნომენკლატურა ტიპით „საქონელი“	გამოიყენება მარაგის შესყიდვის დასაფიქსირებლად
ხარჯი*	მიეთითება ნომენკლატურა ტიპით „მომსახურება“	გამოიყენება ხარჯის შესყიდვის დასაფიქსირებლად. ხარჯის ანგარიში განისაზღვრება ნომენკლატურის ბარათზე
ძირითადი საშუალება	მიეთითება ძირითადი საშუალება	გამოიყენება ძირითადი საშუალების შესყიდვისათვის ან ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდისათვის

ნომენკლატურის ცხრილის შევსებისას ავტომატურად ხდება „ტიპის“ შევსება მნიშვნელობით „საქონელი“. მნიშვნელობის შეცვლა შესაძლებელია უშუალოდ სტრიქონში მისი მექანიკური კორექტირებით ან ჯგუფურად რამდენიმე სტრიქონის მონიშვნითა, ცხრილის ზემოთ განთავსებული ღილაკზე „შევსება“ → „ტიპი“ დაჭერით და შესაბამისი ტიპის მითითებით.

ჯგუფური შევსების გამოყენება შესაძლებელია „ნომენკლატურის“ ან „ძირითადი საშუალების“ მნიშვნელობის გადავსებისათვის („შევსება“ → „ნომენკლატურა/ძირითადი საშუალება“).

საქონლის ან ხარჯის შესყიდვა

ზედნადების არჩევისას საქონლის ცხრილში სვეტები „ტიპი“ და „ნომენკლატურა“ ავტომატურად ივსება დადგენილი შესაბამისობით.

იმ შემთხვევაში თუ პირველად ხდება მომწოდებლისგან რომელიმე საქონლის მიღება პროგრამა ცდილობს ავტომატურად დააყენოს შესაბამისობა აწყოებში მითითებული პარამეტრის მიხედვით (დასახელება, არტიკული ან შტრიხ-კოდი) [როგორ ავაწყო ნომენკლატურის შესაბამისობის პარამეტრი მიღებულ ს/ზ-თან](#), თუ ვერ მოხდა აღნიშნული პარამეტრით ნომენკლატურის მოძიება,

ნომენკლატურის არჩევა უნდა მოხდეს ხელით. იმ შემთხვევაში თუ ნომენკლატურა ბაზაში არ არსებობს შეგიძლიათ დაამატოთ შერჩევის მენიუდანვე “დამატება“ ლილაკზე დაჭერით.

თუ ტიპში მითითებული გაქვთ „საქონელი“, ველი „ნომენკლატურა“ შეგიძლიათ დატოვოთ ცარიელი და პროგრამა შესყიდვის შექმნისას ავტომატურად შექმნის ზედნადებში არსებული დასახელებით ახალ ნომენკლატურას, ძირითად ზომის ერთეულს კი შეავსებს ზედნადებში არჩეული ზომის ერთეულის მიხედვით.

შენიშვნა: თუ ზედნადებში მითითებულია ზომის ერთეულია „სხვა“ არჩეული ნომენკლატურისათვის საჭიროა შესაბამისი შეფუთვის დამატება და მისი მითითება ცხრილში, იმ შემთხვევაში თუ ნომენკლატურის შექმნა ხდება ავტომატურად, ცხრილში საჭიროა შესაბამისი ზომის ერთეულის არჩევა ზომის ერთეულების კლასიფიკატორიდან.

ამავე მომწოდებლისგან იგივე პოზიციის შესყიდვისას აღარ დაგჭირდებათ შესაბამისობის დადგენა და პროგრამა ავტომატურად შეავსებს ნომენკლატურის ველს.

ძირითადი საშუალების შესყიდვა

ძირითადი საშუალების შესყიდვისას, იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალება უკვე დამატებულია „ძირითადი საშუალებების“ ცნობარში, საჭიროა მისი არჩევა ველში „ნომენკლატურა“. ამასთან შესაძლებელია რამოდენიმე პოზიციისათვის მოხდეს ერთი ძირითადი საშუალების მითითება, რა დროსაც შესყიდული აქტივების ღირებულება ერთიანად აისახება ერთი ძირითადი საშუალების ღირებულებაზე. ამისათვის შესაძლებელია ჯგუფური გადავსების გამოყენება.

იმ შემთხვევაში თუ შესასყიდი ძირითადი საშუალება ბაზაში დაფიქსირებული არ არის ცნობარში, პროგრამა საშუალებას იძლევა მივუთითოთ ძირითადი საშუალების კატეგორია ველში „ძს კატეგორია“ და შესყიდვის დოკუმენტის შექმნის პარალელურად მოხდება ძირითადი საშუალების დამატება არჩეული კატეგორიისა და სასაქონლო ზედნადებში მოცემული დასახელების მიხედვით. კატეგორიის მიხედვით მოხდება ძირითადი საშუალების აღრიცხვის ანგარიშებისა და ცვეთის პარამეტრების შევსება. ამასთან მოხდება იმდენი ძირითადი საშუალების დამატება, რა რაოდენობის შესყიდვაც მოხდა ზედნადების მიხედვით.

ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდა

შესყიდული აქტივით ძირითადი საშუალების ღირებულების გაზრდისათვის (კაპიტალიზაცია) საჭიროა ველში „ნომენკლატურა“ საჭირო ძირითადი საშუალების არჩევა. ამასთან შესაძლებელია რამოდენიმე პოზიციისათვის მოხდეს ერთი ძირითადი საშუალების მითითება, რა დროსაც შესყიდული აქტივების ღირებულება ერთიანად აისახება ერთი ძირითადი საშუალების ღირებულებაზე. ამისათვის შესაძლებელია ჯგუფური გადავსების გამოყენება.

ბიჯი 3: შესყიდვის დოკუმენტების შექმნა

- ჩართეთ სასურველი სასაქონლო ზედნადების გასწვრივ ალამი
- დააჭირეთ „შემოსვლის დოკუმენტის შექმნა“ ლილაკს
- ჩანართზე „დოკუმენტები“ ჩართეთ ალამი საჭირო შემოსვლის დოკუმენტების გასწვრივ
- თითოეული შესყიდვის დოკუმენტისთვის შეავსეთ ველი „საწყობი“ მექანიკურად ან ჯგუფურად რამდენიმე სტრიქონში ალმის ჩართვითა და ლილაკზე „საწყობის შევსება“ დაჭერით.
- დააჭირეთ „დოკუმენტების გატარება“ ლილაკს.

შესყიდვის შევსება ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით

შემოსავლის დოკუმენტის შექმნა შესაძლებელია როგორც შესყიდვის ოპერაციის გაფორმებით (როგორც გავაფორმო შესყიდვა), ასევე შესყიდვის შევსება ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

- ძირითად მენიუში აირჩიეთ RS ქვესისტემა
- ანგარიშ-ფაქტურების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „**მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა**“
- ანგარიშ-ფაქტურების გაფილტვრა შესაძლებელია შემდეგი ველების გაფილტვრით:

რეგისტრაციის პერიოდი	ავტომატურად ივსება მიმდინარე თვე, სურვილისამებრ შესაძლებელია მისი ცვლილება
ოპერაციის პერიოდი	თუ ავირჩევთ ოპერაციის პერიოდს, რეგისტრაციის პერიოდი დარჩება ცარიელი
კოტრაგენტი	მომწოდებელი, რომლისგანაც შევიძინეთ საქონელი
N / ID	N / ID -ით გაფილტვრა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ვიცით დოკუმენტებს ა/ფ N
დეკლარაციაში დამატება	დეკლარაციის დამატების განყოფილებაში შესაძლებელია წლის, თვისა და ნომრის მიხედვით მიებას დაკლარაცია

- შესაძლებელია ნახოთ როგორც ყველა ანგარიშ-ფაქტურა, ასევე ანგარიშ-ფაქტურა ს/ზ-ის გარეშე, რომლის დახმარებითაც შეძლებთ შემოსავლის დოკუმენტის შექმნას.

მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა

განახლება ჩატვირთვა კიდევი ბოლო ხინჯონიზაგის თარიღი: 19.09.2018 11:55:38

შერჩევა

რეგისტრაციის პერიოდი: 19.09.2018 - 19.09.2018 კონტრაგენტი: COMP დეკლარაციაში დამატება: 2018 #: 28005521

ოპერაციის პერიოდი: № / ID: 0 სექტემბერი დეკლარაციაში დამატება

ყველა ანგარიშ-ფაქტურა ანგარიშ-ფაქტურები ს/ზ-ის გარეშე

ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტთან მიხედვით შერჩევა:

არ არის შერჩევა მხოლოდ მიხებული მხოლოდ მოუხებული მხოლოდ ნაწილობრივ მიხებული ს/ზ-ის მიხედვით

ჯგუფი ა/ფ დოკუმენტები

შემოსვლის დოკუმენტების შექმნა

სტატუსი	დეკლარაციაზე მიხების ...	ა/ფ-ის სურია	ანგარიშ-ფაქტურის ნო...	ID	ავანსის ანგარიშ-ფაქტურა	კონტრაგენტი
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736719	140 388 145	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736879	140 388 964	COMP
<input checked="" type="checkbox"/>	მიღებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736937	140 389 131	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9738670	140 394 097	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ავ-13	0070293	140 394 856	COMP

N	საქონლის დასახელება	ნომენკლატურა	შენაბვის ერთეული	ზომის ერთე...	რაოდენობა	თანა	დღბ
1	კომპიუტერი - შვკვათა N1		ცალი		2.0000	2 500.00	381.36

ა/ფ-ის სტატუსი ა/ფ-ების რაოდენობა: 5 ა/ფ-ების თანა: 4 124.00 ა/ფ-ების დღბ-ის თანა: 629.10

- მას შემდეგ რაც აირჩევთ სასურველ ანგარიშ-ფაქტურას, დააჭირეთ ღილაკს „შემოსვლის დოკუმენტების შექმნა“
- იმ შემთხვევაში თუ შესყიდული საქონელი სხვა აქტივების და მომსახურების ტიპისაა, არ საჭიროებს ნომენკლატურის შევსებას, ხოლო თუ საქონლის ტიპისაა უნდა შეივსოს „ნომენკლატურის“ ველი.

ჯგუფი ა/ფ დოკუმენტები

შემოსვლის დოკუმენტების შექმნა

სტატუსი	დეკლარაციაზე მიხების ...	ა/ფ-ის სურია	ანგარიშ-ფაქტურის ნო...	ID	ავანსის ანგარიშ-ფაქტურა	კონტრაგენტი
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736719	140 388 145	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736879	140 388 964	COMP
<input checked="" type="checkbox"/>	მიღებული	არ არის მიხებული	ეა-14	9736937	140 389 131	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ეა-14	9738670	140 394 097	COMP
<input type="checkbox"/>	კორექტირებული	არ არის მიხებული	ავ-13	0070293	140 394 856	COMP

N	საქონლის დასახელება	ნომენკლატურა	შენაბვის ერთეული	ზომის ერთე...	რაოდენობა	თანა	დღბ
1	კომპიუტერი - შვკვათა N1	კომპიუტერი - შვკვათა N1	ცალი	ცალი	2.0000	2 500.00	381.36

დოკუმენტების ჩანართზე გადასვლით შესაძლებელია დაათვალიეროთ შექმნილი შემოსავლის დოკუმენტი, ხოლო მასზე დაჭერით გადახვალთ შყიდვის დოკუმენტზე.

ყველა ანგარიშ-ფაქტურა	ანგარიშ-ფაქტურები ს/ზ-ის გარეშე	Σ	თანა:	2 500.00	
ანგარიშ-ფაქტურის დოკუმენტთან მიხედვით შერჩევა:			Σ	დღე:	381.36
არ არის შერჩევა	მხოლოდ მიხებული	მხოლოდ მიუხებული	მხოლოდ ნაწილობრივ მიხებული ს/ზ-ის მიხედვით		
ჯგუფი ა/ფ	დოკუმენტები				
N	მომწოდებელი	შემოსვლის დოკუმენტი	ანგარიშ-ფაქტურა		
1	COMP	შესყიდვა 18 - 19.09.2018	მიღებული ანგარიშ-ფაქტურა 289 - 19.09.2018		